



საწარმოთა ფინანსურ ანალიზში რეიტინგული რანჟირების მნიშვნელობა

რეზიუმე

ბაქარ ბარათაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

სტატიაში დაყენებულია საწარმოთა რეიტინგული რანჟირების აუცილებლობის საკითხი. ეს სჭირდება თვით საწარმოს, რეგიონის ხელისუფლებას და თვით ქვეყანას, სადაც ეს საწარმო ფუნქციონირებს.

სტატიაში ახსნილია, რომ ყველა ის მაჩვენებელი, რომლებითაც ფასდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არ გამოდგება განზოგადებული დასკვნის გასაკეთებლად. არც ამ მაჩვენებლების შეჯამება არ შეიძლება მათი განსხვავებული ზომის ერთეულების გამო. საჭიროა მოიძებნოს მათი გაერთმნიშვნელობის გზა და მისი გამოყენებით საწარმოებისთვის რეიტინგის მინიჭება ანუ მათი რანჟირება.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ იმ სამი მეთოდიდან, რომლებსაც საქართველოში ამ მიზნით იყენებენ, საქართველოსთვის ყველაზე მისაღებია ბალური (ქულობრივი) მეთოდი.

საკვანძო სიტყვები:

რეიტინგი
რანჟირება
ინტეგრირება
გაერთმნიშვნელობა
ნომრული
ბალური
ინდექსური
მონიტორინგი
მდგრადი
კრიზისული

შესავალი

ფინანსური მონიტორინგი, რომელიც მოიცავს საწარმოს საქმიანობის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას, აღრიცხვას და ანალიზს, მეტად მნიშვნელოვანი გახდა. წინა პლანზე წამოიწია ამ საქმის შემსრულებელმა ფიგურებმაც – ბუღალტერმა და ფინანსურმა მენეჯერმა. პირველი ახორციელებს ფინანსური ტრანსაქციების აღრიცხვას, მეორე კი – ანალიზს. ორივე ერთად აკეთებენ დასკვნას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და შეიმუშავენ გასატარებლად საჭირო ღონისძიებებს. იანგარიშება და ფასდება 20-ზე მეტი ფინანსური მაჩვენებელი. ყველა მათგანს

თავისი გაზომვის ერთეული და შეფასების კრიტერიუმი აქვს. ამიტომ მათი შეჯამება და ინტეგრირებული მაჩვენებლის გამოყვანა შეუძლებელია. არადა, ასეთი მაჩვენებელი საჭიროა.

საზღვარგარეთ ეს პრობლემა უკვე გადაწყვიტეს, ჩვენთან იგი ფიქრის დონეზე არ დამდგარა. სწორედ ამ საკითხზე გვექნება სტატიაში საუბარი.

1. რეიტინგული რანჟირების არსი და სახეები

საწარმოთა ფინანსური მონიტორინგი მოიცავს ხუთი ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს. ესენია:

1. საქმიანი აქტივობის;
2. ლიკვიდობის;
3. კაპიტალის სტრუქტურის;
4. რენტაბელობის;
5. საბაზრო აქტივობის.

საქმიანი აქტივობის ანუ ბრუნვაობის მაჩვენებლები დღეების რაოდენობაში ან ჯერებში იზომება, ლიკვიდობის მაჩვენებლები კოეფიციენტებში ან პროცენტებში, კაპიტალის სტრუქტურის და რენტაბელობის მაჩვენებლები პროცენტებში, საბაზრო აქტივობის მაჩვენებლები კი – ნაწილი ღარებში, ნაწილი კოეფიციენტებში. განზომილებათა ერთეულების ასეთი განსხვავებულობის გამო, მათი არც შედარება და არც შეჯამება არ შეიძლება. ამას ემატება ისიც, რომ ზოგიერთი მაჩვენებლის ზრდა დინამიკაში დადებითად ფასდება (მაგალითად, რენტაბელობის, ლიკვიდობის), ზოგიერთის კი – უარყოფითად (მაგალითად, საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების). ასე რომ, ამ მაჩვენებლებს ერთიანი მეთოდით ვერ შევაფასებთ. არადა, ფინანსური მონიტორინგის ჩატარება იმისთვის არის საჭირო, რომ ბიზნეს-სუბიექტების ღირებულებამ გაარკვიოს იზრდება და ფინანსურად მყარდება მისი საწარმო თუ დაცემის, გაკოტრების გზაზე დგას.

ამის გარდა, თუ საწარმო ინვესტორს ეძებს, ანდა ბანკიდან სესხის აღება სჭირდება, მან ორივეს ცალსახად და არაორაზროვნად გასაგე-



ბი თავისი ანგარიშგება უნდა წარუდგინოს. გარდა ამოსავალი (საწყისი) ინფორმაციისა და სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტებისა, მასში უნდა იყოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შემფასებელი ზოგადი ინტეგრირებული მაჩვენებელი. სამწუხაროდ, ასეთი მაჩვენებელი საქართველოში არა გვაქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ამსახველი სხვადასხვა მაჩვენებლების დაჯამება, მათი განსხვავებული ზომის ერთეულების გამო, არ შეიძლება. არადა, ბანკიც და კერძო ინვესტორიც საწარმოს ინვესტიციური მიმზიდველობის და კრედიტუნარიანობის შესაფასებლად მოითხოვს ერთ განზოგადოებულ ფინანსურ მაჩვენებელს, ანუ არა რენტაბელობას, არა ლიკვიდობას, არა საქმიან აქტივობას და ა. შ., არამედ მათ გამაერთმნიშვნელებიან მაჩვენებელს. დამფინანსებლებს ეს მაშინ სჭირდებათ, როცა საწარმო მუშაობს, ხოლო, თუ იგი ახალია, ახლადდამწყვები, მაშინ ბიზნეს-გეგმაც საკმარისია, რომლის მე-10 ანუ ფინანსურ ნაწილში ინვესტიციების სავარაუდო ეფექტიანობის მაჩვენებლები და უზარალობის წერტილი იქნება ორივე მათგანისთვის გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, და, ამ გაგებით საკმარისი. მაგრამ მომუშავე საწარმოში ეს უკვე საკმარისი აღარ არის.

ასე რომ, საკითხი რომელსაც ჩვენ ვაყენებთ ეხება მუშა მდგომარეობაში მყოფი საწარმოების ფინანსური მდგომარეობის შეფასების არა ხუთი ან 10 მაჩვენებლით, არამედ ერთი მაჩვენებლით. ამერიკაში მეცნიერმა ე. ალტმანმა საწარმოს გაკოტრების საპროგნოზოდ ერთი მაჩვენებლის Z-ანგარიშის ფორმულა შემუშავა. მაგრამ ეს მაჩვენებელი იძლევა პროგნოზს და არა არსებული მდგომარეობას. იცის მისი სიზუსტე წლების მიხედვით კლებულობს. თანაც, Z-ის სიდიდეს, რომელიც მერყეობს 1,81-2,675-ის დიაპაზონში, მან „ჭაობი“ უწოდა, რაც საწარმოს ან გადარჩენას ნიშნავს ან არ გადარჩენას, ანუ „ჭაობში ჩახრჩობას“.

თუ საწარმო „ჭაობის“ მდგომარეობაშია, რით შეუძლია დაუსაბუთოს მან ინვესტორს ან ბანკს, რომ თუ ისინი მას დააფინანსებენ, იგი გადარჩება? ეს არის დიდი პრობლემა.

ეს პრობლემური საკითხი მთელი მსოფლიოს ეკონომისტების (განსაკუთრებით ფინანსისტების) წინაშე დგას [1, გვ. 317]. უცხოენოვან ლიტერატურის კითხვისას აღმოვაჩინეთ და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენც ვიფიქროთ მასზე, მით უფრო, რომ საქართველოს დამფინანსებლები უცხოელები არიან. თუ უკეთესს ვერა, ჩვენ ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რაც მათთან უკვე ათვისებულია.

აშშ-ში ამ პრობლემას ასე უდგებიან [2, გვ. 167]:

1. გამოყოფენ რიგ ფაქტორებს (ნიშნებს) რომლებიც ახასიათებთ საწარმოთა მუშაობას. ფაქტორები დაიყოფა ურთიერთშემავსებელ და ურთიერთგანმაპირობებელ მაჩვენებელთა ჯგუფებად.

2. სპეციალური სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ისახდვრება ამ ნიშნების საზღვრითი ნორმები (პროცენტული დონეები) და დარგის საწარმოებისთვის დგინდება განხილული ნიშნის მიხედვით გაშუალებული ნორმა.

3. დგინდება ამორჩეული ნიშნების შეწონის ბაზა.

4. მნიშვნელობიდან გამომდინარე დგინდება თითოეული ფაქტორის ხვედრითი წონა მათი რეიტინგული შეფასებისთვის.

5. ნიშანთა შეწონის ბაზის გადამრავლებით თითოეული ფაქტორის ხვედრით წონაზე გამოანგარიშდება თითოეული ფაქტორის პროცენტული ბაზა.

6. ამ უკანასკნელის გამრავლებით ფაქტორის პროცენტულ დონეზე მიიღება საანგარიშო ფაქტორის განსაზღვრული მოცულობა (სიდიდე).

7. საანალიზოდ აღებული საწარმოს თითოეული ფაქტორის მიხედვით მიღებული ეს შედეგები (ე. ი. ფაქტორების მოცულობები) ჯამდება და ისახდვრება ამ საწარმოს რეიტინგი სხვა საწარმოთა საერთო ფონზე.

მთლიანად მსოფლიოში საწარმოთა რეიტინგის დადგენის სამი მეთოდი გამოიყენება. ესენია [3, გვ. 121]:

- ნომრული მეთოდი;
- ბალური მეთოდი;
- ინდექსური მეთოდი.

ნომრული სისტემა გამოიყენება ნაკლები ფაქტორების გავლენის ქვეშ მყოფი დარგის საწარმოებისთვის. ამ საწარმოებს დარგის შიგნით ეძლევათ რეიტინგის ნომერი. მაგალითად, საქართველოს ბანკები. ამ დარგში სულ 19 ბანკია და მათ რეიტინგს აპირობებს გაცემული სესხების მოცულობა, მიღებული დეპოზიტების მოცულობა და პრობლემური ვალების მოცულობა, ანუ სულ სამი ფაქტორი. როგორი არაერთმნიშვნელოვანი ფინანსური მდგომარეობაც არ უნდა ჰქონდეთ ამ ბანკებს საბოლოო ჯამში ეს სამი ფაქტორი განსაზღვრავს მათ მომავალს ინვესტორის თვალში. სწორედ ამ სამი ფაქტორით არიან რეიტინგების ხუთეულში მოხვედრილი „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „პროკრედიტბანკი“ „ლიბერთი ბანკი“, ბანკი „ქართუ“ და ბანკი „რესპუბლიკა“.

როთულ დარგში (ასეთია მეღვინეობის ქვე-



დარგი, რომლის საწარმოებზეც ჩვენ კვლევა ჩავატარეთ), სადაც საწარმოთა სიმრავლეცაა და მათ ფინანსურ საქმიანობაზე ზემოქმედ ფაქტორების სიმრავლეც, იქ აჯობებს ბალური სისტემის გამოყენება. იქ საწარმოს თითოეული მაჩვენებელი რაღაცა ბალით (ქულა) უნდა შევაფასოთ, რომელთა ნაკრები მოგვცემს ქულათა ჯამს. ეს იქნება ამ საწარმოს ფინანსური რეიტინგის განსაზღვრის საფუძველი.

რაც შეეხება საწარმოთა რეიტინგის დადგენის ინდექსურ მეთოდს, ამ შემთხვევაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის თითოეულ შემთხვევას მიაჩვენებლზე (მაგალითად, რენტაბელობაზე, ლიკვიდობაზე და ა. შ.) გამოიანგარიშება საშუალო ინდექსი წლების გარკვეულ პერიოდზე. შემდეგ მათ ბაზაზე ხდება კომბინირებული ინდექსების გამოანგარიშება, განხილული ფინანსური მაჩვენებლების საერთო ერთობლიობაში მათი ხვედრითი წონების დადგენით.

2. საქართველოს საწარმოთა რეიტინგული რანჟირებისთვის მისაღები მეთოდის შერჩევა

რეიტინგული რანჟირების ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მეთოდებიდან არცერთი არ გამოიყენება საქართველოში. საერთოდ ჩვენთან საწარმოთა რანჟირება ფინანსური მდგომარეობის მიხედვით არ ხდება. საწარმოები ამას არც თავისთვის აკეთებენ და არც ინვესტორებისთვის. ამის ძირითადი მიზეზი ალბათ ის არის, რომ მათ ამ კომპეტენციის მქონე კადრები არ ჯავთ. ასეთი შემთხვევები სხვა ქვეყნებშიც არის, მაგრამ მაშინ ისინი მიმართავენ ამ მიზნით შექმნილ სპეციალურ ცენტრებს (მაგალითად, ასეთია: მოსკოვში სააგენტო სახელწოდებით “რუსული ეკონომიკური ბარომეტრი”, აშშ-ში (ქ. ბოსტონი) “საწარმოთა მონიტორინგის ცენტრი” და სხვა).

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საწარმოთა ფინანსური მონიტორინგის ცენტრებს რეგიონების მუნიციპალური ხელმძღვანელობები ხსნიან და თვითონვე აფინანსებენ. მათ ეს სჭირდებათ იმისთვის, რომ მათი მეშვეობით და ინტეგრირებული მაჩვენებლით (ნომრული, ბალური (ქულობრივი) თუ ინდექსური) შეაფასონ რეგიონში მომუშავე საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა. ასეთი მიდგომით რეგიონის ხელისუფლება საწარმოებს აჯგუფებს:

1. შეძლებულ, ანუ ფინანსურად მდგრად საწარმოებად;
2. რისკის ზონაში მყოფ საწარმოებად;
3. კრიზისულ საწარმოებად;
4. გადახდისუნარიო საწარმოებად;

5. გაკოტრების პირას მყოფ საწარმოებად.

რეგიონის ხელისუფლებას მათი რეიტინგი სჭირდება რეგიონის განვითარების სტრატეგიის შესამუშავებლად. ამ ჩამონათვალში 2-5 ჯგუფებში შეიძლება ისეთი საწარმოებიც მოხვდნენ, რომლებიც თავისი პროფილით “რეგიონის სახეს” წარმოადგენენ. ცხადია, როცა რეგიონის ხელმძღვანელობამ ეს იცის, იგი დახმარების ხელს გაუწოდებს მათ, მაგრამ თუ არ იცის, ანუ ისე, როგორც ამჟამად საქართველოშია, ის მათ ვერ დაეხმარება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში 11 რეგიონია (თბილისის ჩათვლით) და არცერთ რეგიონში, თვით თბილისშიც კი, რომელიც საქართველოს სხვა რეგიონების ფონზე განვითარებულ რეგიონად ითვლება, არ არის შექმნილი კერძო ან სახელმწიფო რაიმე სტრუქტურა, რომელიც რეიტინგის დადგენის მომსახურებას შესთავაზებს რეგიონის ხელისუფლებას და თვით ცალკეულ საწარმოებს. ამის გარეშე რეგიონის ხელისუფლება როგორ შეადგენს სტრატეგიულ გეგმას, რომელ საწარმოებზე დაამყარებს მომავლის იმედს, რომელ მათგანში შემოიყვანს ინვესტორს, რომლის რეალურ განვითარებას დაუდგება თავდებად? საქართველოს ყველა საწარმო, თბილისშიც და სხვაგანაც, თვითონ ატარებენ შიდა ფინანსურ ანალიზს და დასკვნებიც გამოაქვთ თავიანთ მდგომარეობაზე.

ასეთი ანალიზი კი არ იძლევა ინტეგრირებული შეფასების საშუალებას. ინვესტორი კი, მით უფრო უცხოელი, სწორედ ასეთ მაჩვენებელს მოითხოვს რეგიონის ხელისუფლებისგან იმ საწარმოებზე, სადაც მას ინვესტირების განხორციელებას სთავაზობენ. სანამ ასეთი მაჩვენებლის გამოანგარიშებას არ ვისწავლით, მანამ უცხოელ ინვესტორებთან “ერთ ენაზე” ლაპარაკი არ გამოგვივა.

რადგან ჩვენ ეხლა ვიწყებთ საწარმოთა რეიტინგულ რანჟირებაზე მუშაობას, ანუ მის საწყის ეტაპზე ვართ, ჩვენი აზრით, უფრო უპრიანი იქნება საწარმოთა რანჟირება მოვახდინოთ ბალური სისტემით, რადგან არსებობს ფინანსური კოეფიციენტების ნორმატივებიც და რეიტინგის კლასებიც (სულ 5 კლასი) და მათი შესაბამისი ბალური შეფასებებიც. უმაღლეს კლასში მოხვედრილ ფინანსურ მაჩვენებელს ეძლევა 4 ქულა, პირველში მოხვედრილს – 3 ქულა, მეორეში – 2 ქულა, მესამეში – 1 ქულა, მეოთხეში – 0 ქულა. ფინანსური კოეფიციენტისთვის ქულის მინიჭება მოხდება ნორმატივთან მისი შესაბამისობით. მაგალითად, მიმდინარე (საერთო) ლიკვიდურობის ნორმა არის 2,0; ეს იმას



ნიშნავს, რომ საწარმოს საბრუნავი აქტივები არანაკლებ 2-ჯერ მეტი უნდა იყოს მის მოკლევადიან ვალდებულებასზე. თუ საწარმოს საქმიანობის ანალიზის დროს ეს მაჩვენებელი მართლაც 2, ანდა მასზე მეტიც აღმოჩნდა, მას მიენიჭება უმაღლესი 4 ქულა ანუ მოხდება რეიტინგის უმაღლეს კლასში. მაგრამ თუ იგი 1-ის ტოლი აღმოჩნდა, მაშინ მას მიეცემა 2 ქულა (4-ის ნახევარი) და ა.შ. ასე მოხდება სხვა მაჩვენებლების მიმართაც.

საბოლოო ჯამში ქულები დაჯამდება და განისაზღვრება საწარმოს რეიტინგული კლასი. იგი იქნება [4, გვ. 211]: 57-68 ქულაზე – უმაღლესი; 47-56 ქულაზე – პირველი; 39-46 ქულაზე – მეორე; 25-38 ქულაზე – მესამე; 20-24 ქულაზე – მეოთხე.

უმაღლესი რეიტინგული კლასის მქონე საწარმო შეძლებული, ფინანსურად მყარი სწარმოა, პირველი კლასის საწარმოს უჭირს ფინანსურად – რისკის ზონაშია, მეორე კლასის საწარმო კრიზისშია, მესამე – გადახდისუნარიანია, მეოთხე კი გაკოტრების პირასაა.

ასეთი ანალიზი და საწარმოთა ფინანსური

მდგომარეობის რეიტინგების განსაზღვრა საქართველოში არ ხდება. არადა, ეს ის მეთოდია, ანალიზის დამთავრების შემდეგ, გვეტყვის საწარმო “ცოცხალია” თუ “მკვდარი”, ანდა “უფრო ცოცხალის” თუ “უფრო მკვდარი”.

დასკვნა

ამრიგად, მოცემულ სტატიაში ჩვენ ერთმანეთს შევადარე საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის შემფასებელი სამი მეთოდი – ბალური, ნორმული და ინდექსური. უპირატესობა მივეცით ბალურ მეთოდს, რადგანაც მარტივია, გასაგებია და საერთოდ ქართველ მომხმარებელს მასთან შეხება სხვა ვითარებასი ჰქონდა. მაგალითად, საქონლის ხარისხის ამსახველი სხვადასხვა თვისებების შეფასება სწორედ ბალებით ხდება. ასე რომ, ჩვენი წინადადებაა, რომ ფირმის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი სხვადასხვა მაჩვენებლებიც აისახოს ბალებში და შემდეგ ისინი დაჯამდეს. ეს ჯამური ბალი იქნება ამ ფირმის ფინანსური მდგომარეობის განმსაზღვრელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Самойлов Л., Система показателей ранжирования предприятия, ж. «Корпоративные финансы», №4, 1999.
2. Чангин Д., Об определении рейтинга предприятия малого бизнеса, М., 1998.
3. Оптнер С., Системный анализ для решения деловых и промышленных проблем, М., 1969.
4. Преобразование предприятия – американский опыт, под ред. Лоуга Д. М., 1997.

REFERENCES:

1. Samoilov L. Scorecard ranking of the company, then. “Corporate finance”, 14, 1999
2. Changin D. Determination of small businesses Ranking, M., 1998
3. Optner S., Systems analysis for Solution of business and industry issues, Moscow, 1969.
4. Conversion business, the Enterprise - American experience, ed. Logue DM 1997.

SIGNIFICANCE OF RATE RANKING IN FINANCIAL ANALYSIS OF ENTERPRISES

BAKAR BARATASHVILI
Doctoral Candidate of GTU

Summery

The article raises a question of rate ranking of enterprises. It is necessary for enterprise, regional administration, and the country where the enterprise functions.

The article explains that all the indices that are for rating the condition of the enterprise are useless for common decision. Neither can the indices be summarized because of deferent size of unites. It is necessary to find the way of making them single valued and use it to rate the enterprises.

The article demonstrates that among the three methods used for this purpose the grade (mark) method is the most suitable for Georgia.